

## ჯემალ ჯინჯიხაძე, ვლადიმერ ზინცარი

### რიცხვითი სახელის „ერთის“ წარმომავლობისათვის ბასკებთან და ქართველებთან (რ ე ზ ი უ მ ე )

რიცხვით სახელებთან დაკავშირებით დიდი ხანია ცნობილია შედარება: ქართული „ერთი“, ზანური „ართი“ და ბასკური *endi* — „ნახევარი“, რომელიც იმავდროულად შეპირისპირებულია ქართულის „გვერდ“-თან და ზანურის „გვერდ“-თან — „ნახევარი“.

როგორც ფაქტობრივი მასალა გვიჩვენებს, ქართველური ენები ურალურ-თან და ბასკურთან ერთად მიეკუთვნება იმ ენათა რიცხვს, რომლებშიც რიცხვითი სახელი „ერთი“ წარმოიშვა სიტყვა „ნახევარ“-ის (< „ხელი“) საფუძველზე წყვილად არსებული საგნების აღნიშვნის სფეროში.